

ՄՈՍԽՈՒԹԻ

№2

Կարճիկ պատկերապատմություններ



შოკოლიტ-სარჩევი:



ღიხ-ფელქამ
ინმა მადასობე



წიკმ-მიკმს ¹⁰⁰⁰
წიკმ-მიკმ
მანიამ წიკდუნი



რხიჩვედედა
დეა მუხიობე



საქავემამ ~~ქელი~~ აჩი
ვასო ბუდეუნი



სიხყვამ ~~იქა~~
დიანა ანგიმიდე



რიკმ ~~იქ~~ მ
ხინო ხადომდეაშვილი




მაკა ~~ქ~~ ვამამ
მაკა დლოვონენი



იყმ და აჩა
იყმ ჩა...
ბივი ხილვიხსდე



ვიქ მიქ და ვიყმ...
ხათის ჯანაშობა



მაქსამ
მი-ლი-ემ-ჩე
დათო აღოქნაშვილი



გადიკმს ხახვის
ბაკვეთიდეი
ბასე სუდეკაუნი



ბუკინისტის ზღაპარი

ქალაქისთვის ზღაპარი ისეთივე აუცილებელია, როგორც დიდი სკვერი, სადაც ციყვები და ბავშვები ხეებზე ერთად დაძვრებიან, შუქნიშანი, რომელიც ყველაზე ზრუნავს, მთავარი მოედანი, სადაც მთავარი საათი რეკავს, კინოთეატრი, სადაც მულტფილმებს აჩვენებენ, აკროპოლისი და ქალაქის მერი. არა, მოგატყუე, მერი შეიძლება ქალაქს სულაც არ ჰყავდეს, აი, აკროპოლისი კი აუცილებელია.

აკროპოლისი რა არის? – ეს ქალაქის გულია, ქალაქის მთავარი ნაგებობა, საიდანაც ქალაქს მისი მარადიული მცველები დარაჯობენ. თბილისს – ნარიყალა აქვს, შეგიძრნე-ვია, რა ლამაზად განათდება ხოლმე ღამ-ღამობით?

ჰოდა, რას გიყვებოდი? ქალაქსა და ზღაპარზე და სულ სხვაგან წავედი...

ქალაქს კიდევ თავისი ბუკინისტი უნდა ჰყავდეს.

ბუკინისტი ვინაა? ბუკინისტი ადამიანია, რომელიც წიგნებს აგროვებს, უვლის, პატრონებს უძებნის...

ჰოდა, ჩვენს დიდ ქალაქსაც ჰყავდა თავისი ბუკინისტი, კეთილი, მცივანა კაცი.

ბუკინისტს ძალიან უყვარდა ბავშვები და მისი საყვარელი საქმე მათთვის წიგნების არჩევა იყო. აარჩევდა წიგნებს და ღამ-ღამობით ბავშვებს სასთუმალთან უწყობდა.

მონყენილებს – მხიარულ წიგნებს ურჩევდა, მხიარულებს და ცელქებს – ცოოოტა, სულ ცოტა ნაღვლიანებს, მცივანებს – თბილ მოთხრობებს დაუტოვებდა, მტირალებს – სასაცილო ამბებს, მათ, ვისაც კითხვა არ უყვარდა, ნახატიან წიგნებს ჩუქნიდა, მათ – ვისაც წიგნის დასრულება ენანებოდა, ისეთ წიგნებს, რომლებიც არასდროს მთავრდებიან...

ასეთი წიგნებიც არსებობს, ფიქრებში გააგრძელებ და გააგრძელებ, რამდენ ხანსაც გინდა.

ბუკინისტს უნდოდა, რომ მსოფლიოში ყველა ბავშვს ერთმანეთი გაეცნო, განსხვავე-



ბული ამბები წაეკითხა, განსხვავებული ხასიათები შეჰყვარებოდა. ბუკინსტი თვლიდა, რომ ყველა ბავშვისთვის არსებობს განსაკუთრებული წიგნი, განსაკუთრებული მეგობარი, რომელსაც უბრალოდ დროულად პოვნა და კარგად წაკითხვა სჭირდება.

სალამოობით, როცა რძეს და ორცხოობილას მიირთმევდნენ, კბილებს კარგად გაიხეხავდნენ და ხელებსაც მარწყვისსუნნიანი საპნით გულდაგულ დაიბანდნენ. როცა ლამაზ პიჟამებს ჩაიცვამდნენ, ბალიშებსაც კარგად აიფუმფულებდნენ და საბნების ქვეშ შეძვრებოდნენ. ზამთარში – გაყინულ ფეხუცებს გაითბობდნენ და ზაფხულში – პირიქით, თხელი საბნებიდან ფეხებს გარეთ გამოაპარებდნენ, ბავშვები სასთუმალთან ფერად-ფერად წიგნებს პოულობდნენ.

ამბები პეპიზე, კარლსონზე, რვა ბავშვსა და მათ მხიარულ მშობლებზე, პინოქიო, მეფე მათიუში, პატარა უფლისწული და კიდევ ბევრი სხვა წიგნი ბავშვებს თავის საოცარ სამყაროს ჩუქნიდა.

ხომ გითხარი, შემთხვევითი წიგნები არ იყო-მეთქი.

იმ ბიჭს, რომელმაც სხვას დასცინა, გულისამაჩუყებელი ამბავი ელოდა ზუსტად თავისნაირ ბიჭზე.

იმ გოგოს, ვინც თავისი სათამაშო სხვას არ ათხოვა, ერთი წითელთმიანი გოგოს მხიარული გასეირნება უნდა წაეკითხა, გახსოვთ ეს ამბავი? იმ გოგომ მთელი ქალაქის ბავშვები დაასაჩუქრა.

ყველა ამბავი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. როგორიც საჭირო იყო და მეტიც, აუცილებელი.

დაურიგებდა მცივანა ბუკინისტი წიგნებს ბავშვებს და თავის პატარა, წიგნებით გამოტენილ სახლში ბრუნდებოდა.

სახლი პატარა სულაც არ იყო, მაგრამ წიგნებით გამოტენილი სივრცე პატარა გეჩვენებოდა.

წიგნები ყველგან, საწოლთან, კარადებში, მაცივარშიც კი.

დიახ, დიახ, ღარიბ ბუკინსტს არასდროს ჰქონდა იმდენი საჭმელი, რომ მაცივარში შეენახა, ამიტომაც მაცივარში კულინარიულ წიგნებს ინახავდა, საწოლ ოთახში – ზღაპრებს, შემოსასვლელში – სამოგზაურო რომანებს, ფანჯრის რაფაზე კი სულ ფერად-ფერადი, ფანტასტიკური ლიტერატურა ჰქონდა ჩამონყოფილი.

– იი, რას იყინება ერთი, შეუკეთოს ერთი-ორი წიგნი ღუმელში – ჭორაობდნენ



მეზობლები.

მაგრამ არასდროს, აი, არცერთი წუთით არ უფიქრია მცივანა ბუკინისტს, რომელიმე წიგნი დაეწვა და ისე გამთბარიყო. არც გატეხილ მინაზე აუკრავს ოდესმე ფურცლები ბოტანიკური ლექსიკონიდან თუ რომელიმე ცნობილი მხატვრის ალბომიდან.

ჰოდა, რომ მოსალამოვდებოდა, გამოვიდოდა თავისი სახლიდან და მთელ ქალაქში უჩუმრად დადიოდა დიდი ტომრით. მერე, ბავშვების სასთუმალთან სხვადასხვა წიგნი აღმოჩნდებოდა ხოლმე:

– უიჰ, პეპი მესტუმრა... – იტყოდა ხოლმე მორცხვი გოგონა, რომელსაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინოდა.

– უი, შეხედეთ, რვა ბავშვის ამბავი – მონყენილი და დედისერთა ბიჭი დიდ, ლიტერატურულ ოჯახს პოულობდა უცებ.

– მაუგლი, ნახეთ მაუგლი... – იტყოდა ბიჭი, რომელიც ძაღლებს ქვებს უშენდა და ჩიტებს შურდულს უმიზნებდა-ხოლმე.

– ნახეთ ბიბო რა ბიჭია, ისიც მამას ელოდება... – ეს პატარა, ცისფერთვალა გოგოა, რომელსაც მამა უყვარს ძალიან.

– სალამურა, სალამურა... – ეს ის ბავშვი იყო, რომლის დედასაც ქართული წიგნები არ უყვარდა.

– ნახეთ, როგორი მხიარული ლექსებია... – ეს კი ორი ფილოსოფოსის შვილი იყო, ლექსების კითხვა რომ დროის ფუჭი კარგვა ეგონათ.

– პინოქიო, ცხვირს გაუფრთხილდი! – მიხვდი ალბათ, ტყუილები რომ ზედმეტად უყვარდა, ეს იმ პატარა გოგონას სასთუმლის წიგნი იყო.

სალამოობით, როცა ქალაქის ყველა ბავშვს თავის საკითხავს დაუტოვებდა, მცივანა ბუკინისტი შინ ბრუნდებოდა, უზარმაზარ წიგნს არეულ წარწერას დაულაგებდა (ეს სახლში შესასვლელი საიდუმლო გასაღები იყო), წიგნის ყდას მძიმედ აჭრიალებული კარივით გამოსხნიდა, წიგნში შევიდოდა და კარს საგულდაგულოდ მოიკეტავდა.

თქვენს სახლს შეიძლება სულ სხვა წარწერა ჰქონდეს, თქვენი მშობლების სახელები და გვარები ეწეროს. ბუკინისტის წიგნ-სახლს კი ასეთი წარწერა ჰქონდა:

„ჰანს ქრისტიან ანდერსენი. ზღაპრები“.

„ბუკინისტიკა“ ფრანგული სიყვვიდან (**Bouquin**) წარმოიშვა, რაც „ძვედ წიგნს ნიშნავს“. ეს ძველი წიგნების, ჟურნალების, გაზეთების და ბარათების გაყიდვას ნიშნავს. ბუკინისტობით უამრავი ადამიანია გაფაცვებული. ზოგისთვის ეს ჰობია, ზოგისთვის – თითქმის პროფესია. ბუკინისტური წიგნების გაყიდვა პირველად შუა საუკუნეებში, საფრანგეთში დაიწყო. მე-16 საუკუნეში პირველად გამოჩნდა ძველი წიგნების მალაზიები და დახლები.



ბონლო მაცაზერიძე

სამსოკოთა

სოფელი სამსოკოთა – ერთი ბებერი მუხის ძირასაა გაშენებული. სოფელში სამად-სამი სოკო დობილი ცხოვრობს. სოკოებმა სოფელს სახელიც თავად შეარქვეს და თავადვე განაგებენ მის ავკარგს.

სოფელს საგანგებოდ არავინ სტუმრობს... გზას აცდენილი მწერ-ჭიანჭველა თუ ჩაუვლის სოკოების ეზო-ჭიშკარს დროდადრო.

ძალზედ კი ნუხან სოკო-დობილები, არავინ გვსტუმრობსო, მაგრამ რა ქნან?

დილით სოკოები ადრიანად იღვიძებენ და თავიანთი საოჯახო საქმეებით ისე არიან დაკავებულები, შუადღემდე კაცი მათ ბუსუნს ვერ გაიგონებს.

მერე აქეთ სახლის დაგვა-დასუფთავებო, იქით – სადილ-სარეცხიო. ცოტაოდენი დრო საკუთარ თავსაც ხომ უნდა დაუთმონ?!

ასეთ ფაციფუცში მოიშუადლებენ დღეს. ნაშუადღევს კი იცოცხლე, ისეთ ჭორჭრიჭინს გამართავენ ერთმანეთთან, მუხას პირდაპირ მოსვენებას უკარგავენ.

რამდენჯერმე ჩამოსძახა მუხამ – რა დღეში ხართ, თქვენ, მანდო!

მაგრამ რა, მათაც იმდენჯერვე ნაუყრუეს, ვითომცდა, არაფერიო.

და აი, ერთ დღეს, მუხამაც:

– აბა ახლა მიყურეთო, – თქვა და დაუშინა და დაუშინა რკოები ზემოდან!

აქ კი, ეტკინათ სოკო დობილებს, ეტკინათ და მორთეს ტირილი. იმდენი იტირეს, იმდენი – ლამის გულეები ამოიგდეს.

... როდის, როდის გაისუსნენ. მერე ძალზე იწყინეს კიდეც, ბოლოს კი ადგნენ და სამუდამოდ გაებუტნენ მუხას.

მხოლოდ ერთხელ გადაულაპარაკეს ერთმანეთს:

– ანა აქ აღარ გვედგომება, უნდა ავიყაროთ აქედანო. ეს იყო და ეს, მას უკან ხმა აღარ გაუღიათ.

მაშინ კი დაიმორცხვა მუხამ. განანყენდნენ რკოებიც, ეგ არ უნდა გვექნაო...

დღის ბოლოს, მზის მიმქრალობას მუხამ ფოთლებს ხელი მოხვია და სოკოებს თავზე ნააფარა – დილით, ცვარიანზე არ შესცივდეთო.

არც ამჯერად გაუციათ ხმა სოკოებს, გაბუსხულები იდგნენ ლამის სიჩუმეში...

დილით სისხამზე ჩახედა მუხამ სოკოებს და ფოთლები ფრთხილად ააცალა. მაგრამ





მოხდა საოცარი რამ – სოკოებს მთელი ღამე იმდენი ეტირათ, იმდენი, სულ ცრემლებად ჩალვრილიყვნენ მინაში.

მუხა დიდხანს იდგა დარცხვნილი... მერე ისეთი ძალით ამოიმწუხარა, რომ მთელ ხეობას მოჰფინა ყვითელი ფოთლები...

მალე ზამთარი დადგა.

ერთ სუსხიან დილით ტყიდან ნაჯახის ხმა მომესმა. დავინახე, თუ როგორ დაცეს ხის მჭრელმა კაცებმა ბებერი მუხა მინაზე, როგორ დამორეს და როგორ ამოუყვნენ ურმებით გზას სოფლისკენ.

ზამთარმა დიდხანს გასტანა. მხოლოდ აპრილის მინურულს მომიხდა სამსოკოთასკენ გავლა.

თვალებს არ დავუჯერე – ასობით პატარა მუხის ნერგს ამოეყლორტა ბებერ ნამუხ-არზე.

იქვე ერთმა ბელურამ აი, რა მიაბო:

იმ ღამით, რკოებსაც ისე ემწუხრათ და იმდენი ეცრემლათ, რომ თავადაც ცრემლად ჩაჰყოლოდნენ მინაში სოკო-დობილებს...

ახლა კი დგანან და გაფაციცებით ელიან თავიანთი მეგობრების – სოკო-დობილების მინიდან ამოსვლას...

ბავშვებო, რაჭაში სოკო ივნისში ამოდის, თქვენც ხომ სწორედ მაშინ გენყებათ საზაფხულო არდადეგები საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, ჰოდა, ჩვენც სწორედ მაშინ ვენვიოთ სოფელ სამსოკოთას. მერე კი ვნახოთ, როგორ იტყვიან სოკო-დობილები, არავინ გვსტუმრობსო...



ოვოვის სიზმარი

თეთრ სამოსში ციცარი,
რა ვენა, ველარ ვიცანი,
ბუ და ჭოტი შორტებში
ცხადია, თუ სიზმარი?!

გაიარა ბატუნამ
მოხდენილად, ნარნარად,
ჩხიკვმა, გვრიტმა, ხოხობმა,
ბოლოს – ბოლოქანქარამ.

დიზაინერს კითხულობთ?
ნიჭიერი, განთქმული,
მოლალური ლილიკო,
ჩიტბატონას ნათლული.

თეთრ სამოსში ციცარი
ბოლოს მაინც ვიცანი...
ესეც ასეე, გაამბეთ
წუხანდელი სიზმარი.


მზია მექერიშვილი



პოჭქუი

აღრუტუნდა დედა ღორი,
ტუქსავს თავის გოჭებს:
გამაგიყეს და სირცხვილით
ქვეყნად თავი მომჭრეს.
ჯერ საღორე გამოწმინდეს,
ავსებული ნაგვით,
მერე დასხდნენ და საჭმელი
ჭამეს დანა-ჩანგლით.
მინას დინგით არ ჩიჩქნიან,
კვლავ მიშლიან ნერვებს.
არც ტალხში წოლა უყვართ,
ამ არგასაზრდელებს.
თმას სავარცხლით ივარცხნიან,
ტანს იბანენ საპნით.
ავდგები და საღორედან
ყველას ერთად გავყრი.

ედუარდ უგულავა



პანდას იპანდა

შვილს აძინებს დედა პანდა, –
წელან ბანდა.

– განაბულა ჩემი ბურთი,
ჩემი დრუნჩა,
რბილი თათი უდევს ყურთით,
თვალეებს ხუჭავს.

ხვალ დილაძე ფერად-ფერად
სიზმრებს ნახავს,
პატარაა პანდა ჯერაც,
რა ჰქნას ახლა?

მოესწრება სულ, სულ მალე
ისიც დედას
და ბამბუკის ძვირფას ავეჯს
შეუჭედავს.

რობი მესხი





პარიაშ წიკლასური

წიკლ-მისმს 1000 წიკლ-მასმ



წიკლ-მისმს
წიკლ-მასმ



ჭიანჭველას ზურგჩანთა მოუგდია სავსე, ხელჩანთასაც გზადაგზა სანოვაგით ავსებს.

ჩემოდანიც დიდი აქვს, წელზე ქისაც ჰკიდია, ჭიანჭველა აღარც ჩანს, გეგონება, ნივთები თავის ფეხით მიდიან.

აუვსია ფუთები, დიდ-პატრა ყუთები, ნიპნითა და მარცვალთ, სასარგებლო რაც არის.

სახლისაკენ მიაქვს, კაციც მაგას ჰქვია, მიაქვს ბარგი-ბარხანა, არ დაიხმარს ამხანაგს.

საკუთარი ზურგით, არც მანქანით, ურმით, მარტოდმარტო ზიდავს, შინ ამ შორი გზიდან.

აიარა ახო, აქვე, შორიახლო. გამიხარდა, თურმე, ჩემს მეზობლად სახლობს!


გავიცნობდი, მაგრამ მეშინია კიდეც, ჩანთასავით ზურგზე ხომ არ მომიკიდებს?



იღმისხასხისი იღმისხასხისი

ყველაზე, ყველაზე ბევრი...

ჭიანჭველა – ყველაზე მშრომელი, მოფუსფუსე, შეუპოვარი და გონიერი მწერი. დედამიწაზე 22 ათასი სახეობის ჭიანჭველა ბინადრობს და ადამიანებზე იმდენად მეტნი არიან, რომ თუ სასწორის ერთ მხარეს ყველა ადამიანს ერთად, ხოლო მეორე მხარეს – ყველა ჭიანჭველას ერთად მოვათავსებთ, ჭიანჭველების წონა გადასძალავს.




„ძღობსნი“

ჭიანჭველას ვერასდროს ნახავთ გაჩერებულს. სულ შრომაშია. მას შეუძლია, საკუთარ სხეულში დაიგროვოს ბევრი საკვები, რომ მერე სხვა გამოკვებოს. შეუძლია, თავისზე 20-ჯერ მიძიმე ტვირთი შორ მანძილზე ატაროს. ჭიანჭველები დიდ ქალაქებს აგებენ და მკაცრად იცავენ ჭიანჭველურ კანონებს. მათ ნამდვილი სამოქალაქო სამწერეთი აქვთ შექმნილი.

ჭიანჭველების „პროფესია“

იცი, რომ ჭიანჭველები სხვადასხვა პროფესიასაც კი ფლობენ: ზოგი ქალაქის დამცველი ჯარისკაცია, ზოგი მუშაა. საკვების მოპოვებისას ზოგი მზვერავია და მარტო მიდის ახალი ადგილების სანახავად. ზოგი ძიძაა, ზოგი დამლაგებელი, ზოგი მონადირე, ზოგი გზებს იცავს, ზოგიც კი საკვების მომტანია. არსებობს მცირე, საშუალო და დიდი მუშა ჭიანჭველები. დიდი ჭიანჭველა ხშირად მცირე მუშა ჭიანჭველაზე 500-ჯერ მიძიმეა, თუმცა კანონის წინაშე ყველა პროფესიის ჭიანჭველა თანაბარია.



სმინი

მამლევანი ბაყაყი



ერთი პატარა ბაყაყი ტბის პირას ცხოვრობდა. ბაყაყი წყალში ჭყუმპალაობდა და ზმამაღლა ყიყინებდა:

1

- ყი-ყი-ყი-ყი!
ყი-ყი-ყი-ყი!
სხვა ვინ შეძლებს
ასე ყიყინს!

- ყი-ყი-ყი-ყი!
ყი-ყი-ყი-ყი!
ეს რა ფრაკი ვიყიდე,
ამიტომაც ვყიყინებ!

ერთხელ შავი ფრაკი იყიდა და გადანყვიტა, მომღერალი გამხდარიყო.

2

3 მოფრინდა კოდალა:

- გაჩუმდი, თავი მეტკინა.
ამდენს რატომ ყიყინებ?
- მე ხომ ვმღერი.
- აბა ეგ რა სიმღერაა.
- მე კი შენმა კაკუნმა შემანუხა.
- მე კი არ ვაკაკუნებ, ხეებს ვმკურნალობ.

- რატომ მიშლი ხელს, ვერ ხედავ, რომ ვბურღლუნებ?
- მერე რა, რომ ბურღლუნებ.
მე კი ვმღერი და შენ მიშლი ხელს.- ჰა-ჰა-ჰა! ეს რა სიმღერაა. ეს სიმღერა კი არა, ყიყინია!

4 ბურქებიდან დათვი გამობაჯბაჯდა:

- რატომ ხმაურობ და აფრთხოვ ყველას?
 - მე ვაფრთხოვ? მე ხომ ვმღერი.
 - ხმა ჩაინწყვიტე! ეგ რა სიმღერაა.
 მეც დავინწყებ ეხლა ყმუილს და ვიტყვი - ვმღერი მეთქი.
 - არა, ყმუილი არ მომწონს.
 - ჰოდა, არც მე მომწონს ყიყინი.
 ამიტომ გარჯმდი!



- არ გესმის, რომ ვგალობ? რატომ მიძლი ხელს შენი ყიყინით?
 - მე არ ვყიყინებ. მე ვმღერი.
 - მღერი? ესაა სიმღერა?
 - მე კი შენი გალობა მიძლის ხელს.

- რა შემანუხებელი ხმაა!
 - შემანუხებელი შენი სისინია. მე კი ვმღერი. თანაც წამდვილი ფრაკი მაცვია.
 - ეჰ, ტანსაცმელს რომ მნიშვნელობა ჰქონდეს...



- გარჯმდი, რამდენს ყიყინებ, - ეუბნებოდა ყველა.
 ბაყაყი მიხვდა, რომ მხოლოდ ფრაკი მომღერლად ვერ აქცევდა და გარჯმდა. თუმცა ხანდახან მაინც წაიყიყინებდა ხოლმე. ბაყაყი იყო და რა ექნა.



ასტრიდი

ვიცი, ძალიან გიყვართ სამაგიდო თამაშები. მაგრამ ეს ალბათ არ გეცოდინებათ. ახლავე აგიხსნით წესებს!

თუმცა, ჯერ პატარა, ფერადი ფირფიტები მოიძიეთ.

შეგიძლიათ, მონეტებიც გამოიყენოთ. ან როგორც ჩვენი ბებია-ბაბუები ლოტოს თამაშისას იყენებდნენ, უბრალოდ ლობიოს და სიმინდის მარცვლები მოიმარაგოთ. მთავარია, მოთამაშეებს განსხვავებული ნივთი ჰქონდეთ, რომ საკუთარი შედეგი ერთმანეთში არ აერიოთ.

მზად ხართ? ძალიან კარგი! ახლა გაითვალეთ და დაიწყეთ თამაში. პირველი მოთამაშე პასუხს ჩაწერს პირველ, ყავისფერ უჯრებში. მეორე – მწვანეში და ასე შემდეგ. თუ რომელიმე სწორ პასუხს ვერ გასცემს შეკითხვას, მას გამოტოვება მოუწევს და რიგი შემდეგ მოთამაშესთან გადადის.



სულ ესაა! მოემზადეთ და დაიწყეთ „ასტრიდობანას“ თამაში!

რაც მთავარია – ფერადი უჯრები ასტრიდ ლინდგრენის წიგნების გმირების სახლებით უნდა შეავსოთ.

გისურვებთ წარმატებას!



ქომბანა




დათო აღოთუნაშვილი

მექსიკო მი-სი-ლო-ზე



მარცხლი მისილორე
ჩქნაჲ მქნთანაჲა!
დღეს სანსერესო სკუბანი გჳქდის.
აბა, მითხანი, ვიდრე წიგნებს
ჩითხვას დანსეუბდი, ჳრ რა ისწაჲქ?!
აან...ბა... დიას, დიას! ანბანი!
ჳოდა, თუ მუსიკის დანსროს ან
„წაჩითხვას“ მოვიდებ, სვას გზა
არ გაქვს – მისი ანბანისეჲს უნდა
ისწაჲქლო. ეს ჩი, მოგესქნებ, სო
სოჭებიან. მოდი, დღეს იმას
გიაძმობ, როგორ დაძმად სოჭები
და სერითოდ, რაჭომ დაანქჳს
მუსიკაჲურ ბერებს ყჳქდასთჳის
ჩარგად სანსლობი
სახქლები!



თუ ძველ ბერძნებს დაეუჳერებთ,
პირველი მუსიკალური ბგერა სამყაროსთან
ერთად დაიბადა, თუმცა ნოტები უფრო მოგვიანებით, მე-11
საუკუნეში, იტალიელმა ბერმა, გვიდო არეცომ გამოიგონა.
მანვე დაიწყო ბგერების ნოტებით აღნიშვნა. იგი იყენებდა
ოთხხაზიან სანოტო სისტემას, რომელზეც კვადრატული
ფორმის ნოტები იყო განთავსებული. დღეს სანოტო სისტემა
ხუთი ხაზისგან შემდგება, ნოტებს კი მრგვალი ფორმა აქვს.

ტელევიზორის
დისტანციური
მართვის პულტზე
„პაუზის“ ლილაკი
ნოტების ჩანანერის
მიხედვით გაჩნდა.

#

ნოტების სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია ნანარმოებთან
„Ut queant laxis“, რომელიც კათოლიკური ჰიმნია და იოანე ნათლისმცემელს
ედღვნება. დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი ამ ჰიმნის ლათინური ლოცვის პირვე-
ლი მარცვლებია, თუმცა თავდაპირველად იყო ასე – უტ-რე-მი-ფა-სოლ-ლა-
ჳექსაქორდი. სი მოგვიანებით გაჩნდა. უტ კი დო-თი მოგვიანებით შეიცვალა.




ლოლა ცუცქერიძე

მუსიკის სოქო

ოჩახესი ჰყავს სოქოს,
 თავად ეჩივს ელახნებს,
 ფლიტას და ატებს.
 ერთ ხელში აქვს ჩელო,
 მეოხეში ბანჯო,
 მესამეში - საყვირი,
 მი, ჩე, სოც, ლა, ფა, დო.
 მეოთხეში - ჰობოი.
 მეხუთეში კომპონი.
 ვიოლინო, ჰიანინო,
 ხოთაღი, აფა,
 ერთი, უნდა მოვხმინო,
 ბილეთები ახ ბაქეთ?



ილუსტრატორი: დედა ხეხილიძე



მუსიკის მნიშვნელობა

ჩანერე უჯრებში
 შესაბამისი სიწყვები,
 ისე რომ ღურჯ
 უჯრებში
 7 მუსიკადური ნოცის
 სახელი მიიღო:

- 1) დათვის სახელი თამრი ფხაკადის ზღაპარში;
- 2) ინგლისელი მწერლის, „ჯუნგლების ნიგნის“ ავტორის სახელი;
- 3) ასტრიდ ლინდგრენის ნიგნის გმირი ბიჭუნა;
- 4) ზღაპრული ფრინველი ქართულ ფოლკლორში;
- 5) ფულის ერთეული, რომელზეც ბურატინომ ანბანი გაცვალა;
- 6) შვედი საბავშვო მწერლის გვარი;
- 7) ზღაპრული პერსონაჟი – მოგზაური და მეზღვაური.

do
 re
 mi
 fa
 sol
 la
 si

ვინ მინდა კიყო...



ნათია ჯანაშია

აღბათ, სწორად ვითვლიან, ვინ გამოხვად, როცა გაიზრდები. აქედით ბევრს თვითობდა ამაზე და გადაწყვიტა, ღურგატი გამხდარიყო. იცა, რას სჩქმინობს ღურგატი? ხისგან სხვადასხვა ნივთებს ამზადებს, მაგადითა, სკამს, მაგიდას, ჩანაღას... ღურგადს, იგივე ხუროს, ხის შესობის ამქნებაც შეუძლია. ზოგიერთი ღურგატი ბავშვებისთვის თოჯინებსაც აი ამზადებს. ვახსოვს ვრძეცხვირან ხის ბიჭუნა პინოკიო? სწორედ ღურგატი გამოთადა ის უბრალო შემის ნაჭრიდან. იქნებ, შესე მოგინდეს ღურგლობა?! თუქცა, ანჩკვანის ვაჩეთებამდე ვერ ბევრი დრო ვაქვს, სე იჩქარებ! მე დავგებმარები ვაგვანო ის პრლოფესიები, რომეცთავან მომავაღში ერთს აუციეებდად აირჩევ.



აქლემს რალა უხარია?

- ის, რომ კარგი დურგალია!
მართალს ვამბობ, კი არ ვხუმრობ, -
დურგალია, ანუ ხურო.

ტყეში ფიჭვი მოუჭრია,
ტყის მცველები არ აშინებს,
ზურგით მიაქვს სადურგლოში,
დაჭრის, გააშალაშინებს.

ციყვებს თაროს გამოუთლის,
გუშინწინ რომ შეუკვეთეს;
ბუზლუნა დათვს ძველ ბუნაგში
კარ-ფანჯარას შეუკეთებს.

არც მურიას დაივინყებს, -
ბუდრუგანა უნდა დიდი.
თავს ახალი სკამები სურს,
განა ცოტა? - ოცდაშვიდი!

- მცივანა ზღარბს რალა უნდა?
- თბილი ქურა, გუზგუზელა!
ამიტომაც სადურგლოდან
ეზიდება ბურბუმელას.

ახოვანე ყველაზე ცნობილ დაურგავს. პამილო კარლოს

თავის წიგნის გმირები





სიტყობიანა

რიანა ანთუძიაძე



სულხან-საბას ლეჩხვიანი

სულხან-საბა ორბელიანის „სიყვიის ჟღერა“ გავივი? ძნერაჲი და ძეჲნიორი ძთეჲი წესოვრების განძავლობაში ავროკებლა იშვიათ ქართუჲ სიყვიებს, ბოჯოს ზი ძომავაჲ თათობებს უძვიროვასესი ღუქსიონი დაუჯოვას.

ჩავიჭვიოვოთ?

ბერ სიყვას აჯბათ ვერ იწნობ, იძღუნად ძვედა.


ბაბაქაქა - მხო ზა სოყვია? საბას ვამსიკონაჲი ანა მამბას აქმია.

ბაბაქაქა - ხოვანას ვილო წეჲი მამიბა ვეძინა.



ჭაპაქაქაქა - ანა ჩამვია ავხი ჭაქანას. ხომა სანაქსო სოფოვია?

ჭაპაქაქაქა - ზამბაქოს სუბას აჲ ვეძინა. ძვედაჲ თაშას „გოჯა“ ვიძვენიბ ვა სანაქსო ანა ჩამვიაქაქა.



გივი ხილვაშვილი

ქართული
ფოლკლორი

ყვავილთა ღმინადადნი

ყვავილთა ვარდობისთვის იმართებოდა ყვავილთა დღესასწაული – არიფანა. ბავშვები შინიდან წაიღებდნენ სანოვაგეს, უმეტესად ტკბილეულს, ტკბილ სასმელებს და ბუნებაში გაშლიდნენ სუფრას, რომელიც ამასთანავე ვარდებით, ზიზილებითა და სხვა ყვავილებით იყო დამშვენებული. თვით ბავშვებს ყვავილთა გვირგვინები ედგათ თავზე, უმეტესად გვირგვინისა. იქვე ირჩევდნენ ამ დღესასწაულის დიასახლისს, რომელიც ზრუნავდა ყველა მონაწილეზე. ბავშვები მღეროდნენ, ამბობდნენ ლექსებს, ცეკვავდნენ და თამაშობდნენ.

ქვემო ქართლში არიფანას გოგონები მართავდნენ უმეტესად ზაფხულის დამდეგს, ამაღლების დღესასწაულის დროს. დილით ისინი მინდორში მიდიოდნენ, დაკრეფდნენ ყვავილებს და კონებად შეკრულს დებდნენ ქილაში, სადაც უმძრახად* მოტანილი წყალი ესხა. შემდეგ სოფელში ჩამოივლიდნენ, ამ ყვავილებს ძროხების პატრონების ეზოებში გადააბნევდნენ და მღეროდნენ:

ჭია-ჭუა გაღაფეარე,
ვარდის კონა შემოფეარე,
ეს ზიზილა თქვენ,
სალამოს ზქე თქვენ,
ღილის ზქე ვი ზეენ...



ლოლა ცუცქერიძე



ხსირველა

ბაბუჩა

ნახტი და აბოჯინე
ბეჭეულებს თავისი მამიკო!



ერვე-მერვე, ერველალი,
სად იყავი უფენია?
- დამეკარგა ბეჭეულები,
ძიეთი ღამე უფეფიათ.





ძლივს ვიძოვე, დავეძებდი
ხან შთაში და ხანაც ბარად,
ცხენების ნაცვლად ჩვენს ველები
გაბეოლიან რისუბლის ფარას.

სეჩესი და იმესხახიევი დედა ხეხილიძის



ვასო გულუყური

სახაშვო მკურთხელობა მაჭკატიები



გახსოვთ, რას ამზადებდა ვივი, ვინაჟდაც ქოძი და ანიკა თავეს
სახეში რომ დაჰაწიოთა საუბრებზე? იქნებ ის სიმღერაც გახსოვთ,
სამზარეულოში რომ დიდებდა?

*„გაგახსოვთ ცეცხლზე წათვა,
კაცხოთ მაჭკატიები სწრაფად...“*



თუ არ გახსოვდათ, ახლა უსათუოდ გაგახსენდებათ.
თუ გახსოვთ, ვივი ყველგანს ჰქარაოდა ისროდა, რომ მერე
ქვებით დაეჭირა. ერთი წაღი ყველგანს თმანეც იო ჩამოეწინა.
თუმცა თავეს დაიმშვიდა, ყველგანს თმას ზრდისო. ის იო არა,
თუმცა, ბრანდიანში ქუჩაში გაძოვდა ის ყველგანს ისაძენ
გაზრდათვის ამ მეთოდს ნუ გამოვიყენებთ. თუ მანისედამანისე
მოგინდებათ, ყველგანს შამპუნის იხმარეთ. დიანს, დიანს, ყველგანს
შამპუნის! ხოლო როცა ოდესმე ბრანდიანში წახვადთ, არ დაგავინდეთ
და დიანთ, სახეიდან გასვამდე თმანე ერთი
წაღი ყველგანს გადამიგდისეთ!

მაჭკატი ერბოში შემწვარ
პატარა ლავაშს ჰქვია
და სხვადასხვანაირია –
გააჩნია, როგორია ცომი.
ჩვენ ერთ-ერთი მათგანის
მომზადება ვცადოთ.
დამერწმუნეთ, ძალიან
გემრიელია.

მაჭკატიები

ცოცა ფქვილი, ცოცა სოდა,
შაქარი და ერთი კვერცი,
(მანონი ან იოგურცი
ან გამოგრჩეთ,
თორემ შევრცხვით!)

აურიეთ მერე კარგად,
დიდხანს კი ნუ გაჩერდებით,
მოთმარჯვით ცხელი ცაფა,
გამოაცხეთ მაჭკატიები!

ახლა ვი მაქვს მის მიხედვით.
 200 გრამი ფქვილი... მოდი, არ გვინდა გრამობით... უბრალოდ, ერთი
 საშუალო ჭიქა ფქვილი ჩაყარეთ ჯამში. დაამატეთ ნახევარი ჩაის
 კოვზი საქმელი სოდა, ცოცხალი მარილი და 2 სუფრის კოვზი შაქრის
 ფხვნილი. კარგად აურიეთ.
 ახლა ვი, დასხით 200 გრამი...



ოჰ, ისევ გრამები... ერთი ჭიქა მანონი. შეგიძლიათ, მანონის ნაცვლად ერთი ბოთლი
 იოგურტი დასხათ. ესე კარგად აურიეთ. კვერცხის ჯერაც დადგა. თუ კარგად უმიზნებთ
 და მერე ნაქუჩების ამოკრეფას არ გეზარებათ, შეგიძლიათ თქვენც ჰაერში აისროლოთ
 და ჯამი დაახვედროთ. ფქვილიდან და იოგურტიდან კვერცხის ნაქუჩების ამოკრეფა ცოცხალი
 დამლელი საქმეა. მით უმეტეს, თუ კვერცხიც თეთრია.

ამიტომ, უმჯობესია, ფრთხილად გაცეხოთ ერთი ცალი კვერცხი და დაუმატოთ ყველაფერი
 გაამზადეთ? ახლა კარგად ათქვიფეთ - გინდა ხელის, გინდა ელექტროსათქვეფით.

ახლა ვი:

გახურეთ ცეცხლზე ცაფა,
 აცხეთ მაქვსები სწრაფად!

ჰო, არ დაგავინყდეთ, გახურებულ
 ცაფაზე ცხიმი დაამატეთ, თორემ
 მაქვსები მიიწვება.
 გამთავრებთ ორივე მხრიდან. მზა
 მაქვსებს შეგიძლიათ ნაუსვით
 ანაჟანი ან თქვენი საყვარელი
 ჯემი.

^{სახალისო}
~~სამინათ~~ დაელოება

ჩაწერე "მაქვსებში" გემრიელი
 საჭმელის სახელი, რომელიც კვერცხით
 და ბურთით მზადდება. სხვათა შორის,
 სწორედ ასე ერქვა პეპის სახლსაც!
 (ბირველი და ბოლო ასოს გეგარნახებ)




მკვლევარი



მაკა ლოკონენი

იყნობთ მაკა-ლოკონ თაჟისი ამინდის პროგნოზებით? გეონიათ, რომ ქარის სიჩქარეზე ან ჰაერის წმენდასთან დაკავშირებით? სუდაც არა! მაკა-ლოკონ წიგნების პროგნოზს ადგენს და ცდილობს ისეთი ამინდი შექმნას, რომელიც მოგანდომოთ, თქვენს ბიზნესში ჩი ბეჭდი ახადი და სანდროსო წიგნი დაგროვდეს.

თუა ლომადის „წერილი ბოთლში“ ცადხაზიან რვეულს ჰგავს, რომელშიც უდამაზესი კადიგნაფით ჩაუნერიათ ფექსცი, მინდვრები კი ჩანახაფებით გაუფონმებიათ. გადამდით თუ ანა, კითხვის ხსიათბე მოხვადთ.



ამბავი ერთ უცნაურ ქალაქში ხდება. ამ ქალაქის ბინადრები ორ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეებად იყოფიან, ერთმანეთთან საკონტაქტოდ კი მესამე ენას იყენებენ. ავტორი ქალაქის სახელს არ გვიმხელს, თუმცა ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საუბარი ქართულ-აფხაზიურ კონფლიქტზეა. კონფლიქტი კი ბავშვების თვალთ არის დანახული და შეფასებული. წიგნის მთავარი გმირი პუტკუ მარიაში მტკივნეულ შეკითხვებს უსვამს უფროსებს, შეკითხვებით სავსე წერილს ბოთლში ათავსებს და „ზღაპრული კუნძულიდან“ აგზავნის.

წიგნი ორი მოზარდი გოგონას მეგობრობაზეა. გოგონები ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობენ, დღეებს უზრუნველად ატარებენ, სკოლაში თავგადასავლები არ აკლიათ, ერთ დღეს კი შეიტყობენ, რომ „ზღვის შვილები“ ჰქვიათ. თუმცა აღმოჩენები ამით როდი დასრულდება, არც მათი სახლების გამყოფი ლობე შეინარჩუნებს ძველ სიმადლეს და ადამიანებიც უცნაურად გადანაწილდებიან ლობის გარშემო.

იცით როდის, ვინ და რატომ ათავსებდა წერილს ბოთლში? ძველად, შორეულ მოგზაურობაში მყოფი მეზღვაურები შეტყობინებებს პერგამენტზე წერდნენ, ბოთლში ათავსებდნენ, ბოთლს საგულდაგულოდ ხუფავდნენ და მის ბედს ტალღებს მიანდობდნენ.



ჩ ე ზ ნ რ

ამოხსენი რებუხი და მიიღებ კროსვორდის ფერად სვეტში ჩასახენ „გასაღებს“ – ყვედასთვის საყვარელი ქართული საბავშვო მწერლის სახელს და გვარს.



1. ყვედაზე მეტად მას უყვარს თაფლი, თაფლის ძებნაში ბურღულენით დადის;

2. ამშვენებენ ქართულ მითებს, თხოვობი, ...

3. ის წყალს ადღულებს უნებ, მერე ჩიფივით უსწვენს.

4. მინაზე წევს, ხან ღობებზე ეკიდება, კონკიაში“ გადაიქცა ერთხელ უნდად.

5. ციფრუხისა - ვიფადინის საბადო, მიიწითმევ და შეგერგება წამდაღო.

6. ერთი პაწანა გოგოს, დამამ სიმღერას მღერის, ბებოსთან რომ მიდიოდა, წყეში შემოხვდა მგელი.

7. გაძისხის ყიციციოს, ადრინადა ყიციხი.

15. გიყვება ათას ამბავს, ჯადოსნურისა თუ მანთადს.

8. თუ შეცდომა დაუშვი, როცა ხაფავ მაშინ, ამ შეცდომას... სულ ერთ წამში წამდის.

9. მეგობრად ჰყავს შვიდი ჯუჯა, ვაშლს თუ შექვამს, თვალებს ხუჭავს.

10. პაწის შვიდი კნუწია, ცხენის შვიდი - ვვიცი, კამეჩის შვიდს რა ჰქვია, აბა, ეს თუ ვიცი თუ?

11. ბებო აკრავს თონებში, ებრანება ყუა, ცხელ-ცხელი და კრანუნა, დიდ-პაწანას უყვარს.

12. მინაური ცხოველის, ჯიუცი და გნძიდყურება, რასაც სთხოვენ, როცა უნდა, მხოლოდ მაშინ ეყურება.

13. ბადი, ვაშლი, მსხადი, კვი - ყვედა ერთად ანის...

14. ერთ ბლავანში ბიჭია, მწყემსავს ჭიამაას, უყვარს ციფინათელების დედოფალი ბაია.



წიპოლინო



წიპო სადღოპელო

წარქი – მარტო ამ სახელის წარმოქმაც კი სიხარულით და დიდებულებით გავსებს. მის ყველა ფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს: წითელი – მწუხარებას ნიშნავს, თეთრი – სიხარულს, ყვითელი – დიდებას. შესაძლოა, ეს ფერები სხვა კულტურაში სხვა მნიშვნელობითაც ამოიკითხოთ.

ვარდს ყვავილების დედოფალს უწოდებენ, აღიარებენ სილამაზის და სიდიადის სიმბოლოდ. ჩვენს ქვეყანაშიც იმდენად უყვართ ვარდი, რომ მისი სახელი ჩვენმა წინაპრებმა გაზაფხულის ერთ-ერთ თვესაც კი დაარქვეს – ვარდობისთვე, იგივე მაისი.

ვარდს სხვა ყვავილებისგან ისიც გამოარჩევს, რომ ტანზე გამოსხმული ბასრი ეკლებით იცავს თავს გარე სამყაროსგან და თავის სილამაზეს იოლადა არავის უთმობს. ალბათ გახსოვთ ხალხური არავის უთმობს. ალბათ არავის მოუკრეფია“, ეს სწორედ იმ სიძნელეზეა, რომლის გადალახვაც უწევს ადამიანს, რაღაც დიდებულს და მშვენიერს რომ მიაღწიოს.



ის უკვე 25 მილიონი წელია, დედამიწაზე არსებობს და მისი ხელოვნური მოშენების ისტორია 5000 წელზე მეტს ითვლის. ის საკუთარ სიმბოლოდ აქცია თითქმის ყველა რელიგიამ, მის სამკურნალო და ჯადოსნურ თვისებებს იკვლევდნენ ალქიმიკოსები და მეცნიერები... და რაც მთავარია – ის დღემდე აღლევებს პოეტებს და მხატვრებს, მასზე უამრავი რამ დაწერილა, მას უამრავი წიგნი შეხვდებით...

„დაიბადა მზესთან ერთად“ და რომელიც თავის თავს ასეც ახასიათებს: „მე ბალახი არა ვარ!“... მიუხედავად ამ სიამაყისა და თავმომწონეობისა, პატარა უფლისწულს მაინც შეუყვარდა თავისი ვარდი, რადგან, ალბათ სწორედ ის იყო მთელი მისი პანანინა პლანეტის და მისი უფლისწულობის გამართლებაც...

ვარჯიშები

ინგლისელი მწერალი, ავტორი ბლანჩისა „ბუდუდი და ვანი“;



დახიდი მწერალი, რომლის ბლანჩშიც აივანზე, ქოთანში ჰყვავის ვანი და რომელიც ძაღვს უყვართ ჰაყანა მეგობრებს, კას და გერდას;



ჰანს ქრისტიან ანდერსენის ბლანჩი „... და ვანის ბუჩქი“



ცნობილი მომღერალი, რომელმაც დაწერა საბავშვო ნიგნი „ინგლისის ვანდები“



ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინცი“ ხომ გახსოვთ? საჰარის უდაბნოში თვითმფრინავიანად ჩამოვარდნილი მფრინავის და ერთი უცნაური პლანეტის ბინადარი უფლისწულის შეხვედრის ამბავი, რომელმაც არც დიდი და არც პატარა გულგრილი არ დატოვა? ჰოდა, აბა თუ გახსოვთ, რა დარდი აქვს პატარა უფლისწულს, ყველაზე მეტად რა ასევედიანებს?

რა და, თავისი ყვავილი – ეკლიანი და მშვენიერი ვარდი, რომელიც, ამ ეკლებს მიუხედავად, შეიძლება პატარა ბატკანმა შეუჭამოს... დიდი უცნაური და მგრძნობიარე ვინმე კი აღმოჩნდა ეს ვარდი! კეკლუცი, საკუთარი ღირსების კარგად მცოდნე და ამის გამო თავმომწონე, რომლის ბიოგრაფიაც ასე იწყება:


ქრისტინა ტუროლი
ჰერბასრიუმი
ჰაყანა დავალებას მოგცემთ – გაისხენთ, კიდევ რომელ საბავშვო ნიგნში შეგხვდათ ვანი, სადაც მას რაიმე მნიშვნელოვანი დაფიქრება აქვს, ჩაინიშნეთ და მოგვწერეთ – ჩვენი დიფერანტი ჰერბასრიუმისათვის!

ზალიკოს სატყვის გაკეთილები



ზალო სულთაყაური

დავხატოთ მუხისია




„გრძელცხვირა ჯადოქარი მარსია“ ქართული საბავშვო მწერლის, თამარი ფსაკაპის ნიშნა. თუ ჯერ არ ნაბიკითხავს, აუცილებლად ნაიკითხე, ვინაიდან შენ ყველაზე მხიარული ამბავი გელის გრძელცხვირა ჯადოქარზე, მის მეგობარ კეკაზე და სხვა პერსონაჟებზე.








აღ-ზღის იფხვიანი მწეხად კასი მუდეუხიად





-  – პირველი წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად წაიკითხეთ?


– კითხვა 4 წლის ასაკში ვისწავლე, ტელევიზორის და გაზეთების მეშვეობით. პირველი წიგნი არ მახსოვს, მაგრამ ის მახსოვს, რომ თავიდან გაზეთებს ვკითხულობდი.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.


ანდერსენი, ასტრიდ ლინდგრენი, იანუმ კორჩაკი.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.


– „თოვლის დედოფალი“, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“, „მეფე მათიუმ პირველი“.
-  – თქვენი პირველი საბავშვო წიგნი...


– რადგან თავდაპირველად მხოლოდ ლექსებს ვწერდი, პირველი წიგნიც ლექსების კრებულია – „მელაკუდას მაღაზია“, რომელიც 2007 წელს გამოსცა გამომცემლობა „დიოგენემ“.
-  – თქვენი, ყველაზე საყვარელი ნაწარმოები?

– „ამბები კატა კოტოსი“, რომელიც ჯერ გამოცემული არ არის.
-  – როგორ იგონებთ პერსონაჟებს?

– ბავშვებზე დაკვირვებით, პერსონაჟის ხასიათიდან გამომდინარე, მათი სახელის ჟღერადობით... ბევრი საშუალებაა.
-  – სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?

– დღეისთვის გამოცემულია თოთხმეტი. თუმცა, დაწერილი მეტია, ჯერ გამოუცემელი წიგნები.
-  – ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?

– მზად არის ლექსების ახალი კრებული, რომელიც, იმედია, წელს გამოვა. ასევე ზღაპრების ორი კრებული, რომელიც ელოდება გამომცემელს.
-  – თქვენი, ყველაზე კეთილი ზღაპრის გმირი?

– კატა კოტო.
-  – რის წაკითხვას ურჩევთ ბავშვებს?

– ყველაფრის, რაც მოგეწონებათ. ავტორები და წიგნები რომ დავასახელო, ბლიც-ინტერვიუ კი არა, მთელი ჟურნალი არ ეყოფა.

მთავარი შოკოლიტელი: ირმა მალაციძე

შოკოლიტმცოდნე: მარიამ ნიკლაური

დანარჩენი შოკოლიტელები: ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობი მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩილვინაძე, ნინო სადღობელაშვილი



ISSN 2527-1888

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“

ელფოსტა: jurnali.Shokoliti@gmail.com

გარეკანის ილუსტრაცია ლელა ცუცქერიძის





ნიგნის ჭია-ვანა

ახალი ნიგნები



ყველასთვის საყვარელი მწერლის, ნოდარ ღუმბაძის ლექსების კრებული – საუკეთესო საჩუქარი პატარებისთვის. ნიგნისთვის ილუსტრაციები მხატვარმა ნინო ჩაკვეტაძემ შექმნა.



ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარი „ნიქარა“ გიორგი ჯინჭარაძის ილუსტრაციებით. 2018 წლის ფრანფურტის ნიგნის ბაზრობის საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსის პროგრამის ფრგლებში გაიმართა გამოფენა, სადაც სხვა ქართველი მხატვარ-ილუსტრატორების ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილი იყო გიორგი ჯინჭარაძის ნახატები – „ნიქარას“ ილუსტრაციის ნაწილი. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ზღაპრის გამოცემის იდეაც სწორედ მაშინ დაიბადა. გამომცემლობა „ზოლიანი კატა“



ლელა ცუცქერიძის ახალ ნიგნში, რომელიც მის მიერვეა ილუსტრირებული, ყველაფერია პატარების კოგნიტური უნარებისა და ნატიფი მოტორიკის განსავითარებლად: სახალისო ლექსები, ლაბირინთები, განსხვავებები, წერტილოვანი გასაფერადებლები და სხვ. ნიგნი მხოლოდ იმ ბავშვებისთვის არაა, ვინც ანბანს სწავლობს. ის მათთვისაცაა, ვისაც თავსატეხები და უბრალოდ, გაფერადება უყვარს. ხოლო თუ ნიგნს პატარებთან ერთად დიდებიც ნაიკითხავთ და გააფერადებთ, მერწმუნეთ, ეს ყველაზე კარგი და სასარგებლო აქტივობა იქნება. გამომცემლობა „შემეცნება“



საუკეთესო თანამგზავრი ნიგნების მოყვარულთათვის! ეს ფერადი და მხიარული დღიური დაგეხმარება, შენს საყვარელ ნიგნებს ერთად მოუყარო თავი და ადვილად გაიხსენო მათი სიუჟეტი, პერსონაჟები ან ციტატები. შეაესე მკითხველის დღიური და საიმედოდ შეინახე სასიამოვნო მოგონებები. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“